

მდელოს რუხი-ყავისფერი - Graue-zimtfarbene Wiesenböden

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან მდელოს-ყავისფერ ნიადაგებს შორის გადიდებული დატენიანების პირობებში. მათი საერთო ფართობი შეადგენს 199,6 კმ (0,3 %). ნიადაგები გამოირჩევა არადიფერენცირებული პროფილით, რუხ-ყავისფერ ნიადაგთან შედარებით უფრო მძლავრი პროფილით, მთელს პროფილში გაღებების ნიშნებით, ძლიერი გათიხებით. ნიადაგის პროფილს შემდეგი აგებულება აქვს: Aca(g)-B₁ca(g)-B₂ca(g)-BCca(g)-Cg. მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება სუსტად ტუტე ან ტუტე რეაქციით, ჰუმუსის დაბალი შემცველობით, მთელი პროფილის გათიხებით, პიგროსკოპული წყლის საშუალო შემცველობით, მოცულობითი წონით 1,18-1,26 ფარგლებში, შთანთქმის საშუალო ტევადობით. ნიადაგები ღარიბია პიდროლიზებადი აზოტით და შთანთქმული ფოსფორით, მდიდარია (0-10) და ღარიბია (10-20) გაცვლითი კალიუმით. არსებობს ქარისმიერი ეროზიის საშიშროება.

Graue-zimtfarbene Wiesenböden sind eine Übergangsform zwischen zimtfarbenen Wiesenböden und zunehmend feuchten Böden. Ihr gesamter Bereich macht 199,6 qkm aus (0.3% Georgiens). Diese Böden sind zu unterscheiden von anderen mit nicht so differenziertem Profilaufbau, sie sind mächtiger als die grau-zimtfarbenen Böden, haben Eigenschaften des Gley im gesamten Profil und eine starke Tonanreicherung. Das Bodenprofil hat oft folgenden Aufbau: Aca(g)-B₁ca(g)-B₂ca(g)-BCca(g)-Cg. Graue-zimtfarbene Böden sind charakterisiert durch eine schwach alkalische oder alkalische Reaktion, einen niedrigen Gehalt an Humus, eine Tonanreicherung im ganzen Profil, einen durchschnittlichen Gehalt des hygroskopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 1,18-1,26g/ccm, eine mittlere Absorptionskapazität. Die Böden sind schlecht versorgt (0-10cm) mit hydrolisierbarem Stickstoff und mobilem Phosphor, sind reich (0-10cm) und arm (10-20cm) versorgt mit austauschbarem Kalium. Es existiert die Gefahr der Winderosion.

